

ქართული საეფიქიური ტაქსოლოგიის სისტემა



HTMC-PM-010-V.1.0

**მასალის ჰისტოპათოლოგიურ
გამოკვლევაზე გაგზავნის წესი**

დოკუმენტი	სტანდარტული ოპერაციული პროცედურა
დასახელება	მასალის ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევაზე გაგზავნის წესი
დოკუმენტის ნომერი	1.0
მფლობელი	კლინიკური დეპარტამენტები
დანერგვის თარიღი	19.07.24
მომდევნო გადახედვის დრო	07.25
ავტორი	ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი
დამტკიცებულია	კლინიკური დირექტორი

მიზანი:

სამედიცინო დაწესებულებაში ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის სტანდარტიზაცია და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკის მინიმალიზაცია

ფარგლები

ვრცელდება კლინიკის თითოეული დეპარტამენტის ექიმსა და ექთანზე, ასევე მორფოლოგიური კვლევის განყოფილებაში დასაქმებულ პერსონალზე

პროცედურა:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №242/ნ (2000 წლის 5 დეკემბერი)
საქართველოში პათოლოგიურანატომიური სამსახურის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

1

[კლინიკის \(განყოფილების\) მოვალეობები.](#)

დანართი 2

დებულება ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის წესის შესახებ

3. თუ რაიმე მიზეზის გამო აუცილებელია გამოსაკვლევი მასალის გადათავსება ტერიტორიულად დაცილებულ დაწესებულებაში, კლინიკური განყოფილების გამგე ვალდებულია უზრუნველყოს მასალის საფიქსაციო ხსნარში მოთავსება (ფორმალინის 10-12%-იანი ხსნარი).

4. ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევისათვის მასალა გადაგზავნილ უნდა იქნეს პათოლოგიურანატომიურ დაწესებულებაში არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 10 საათისა სრულყოფილად შევსებულ თანმხლებ ფურცელთან ერთად (იხ. დანართი 11). თუ თანმხლები ფურცელი შევსებულია დაუდევრად, ე.ი. თუ მასში არ არის აუცილებელი მონაცემები, პათოლოგიურანატომიური დაწესებულების ხელმძღვანელი ამის შესახებ ატყობინებს კლინიკური განყოფილების გამგეს და საავადმყოფოს ხელმძღვანელობას.



მსგავსი შემთხვევის განმეორებისას დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

5. ქილას გამოსაკვლევი ობიექტით უკეთდება წარწერა (ავადმყოფის გვარი, ინიციალები, კლინიკური განყოფილების დასახელება და ავადმყოფობის ისტორიის ნომერი). სხვადასხვა ავადმყოფის რამდენიმე გამოსაკვლევი ობიექტის ერთ ქილაში მოთავსებისას თითოეული ობიექტი ცალ-ცალკე შეიხვევა დოლბანდში და ზედ მიეკვრება საჭდე, რომელზეც აღნიშნულია სათანადო მონაცემები

დანართი 9

ღებულება ციტოლოგიური მასალის გამოკვლევის წესის შესახებ

1. ციტოლოგიურ გამოკვლევას ექვემდებარება ყველა პუნქტატი, გამონაფხეკი, ანაფხეკი, გამონადენი, ნაცხი, ანაბეჭდი, ჩამონარეცხი წყლები, ნახველი მთლიანად, დანაწევრების გარეშე.

2. ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ვალდებულია ციტოლოგიურ გამოკვლევაზე გააგზავნოს შემდეგი სახის მასალა:

ა) პალპაციით გამოვლენილი სიმსივნეებიდან, სიმსივნის მსგავსი წარმონაქმნებიდან, გასქელებული უბნებიდან, ინფილტრატებიდან, სეროზული ღრუებიდან, სახსრებიდან, ძვლებიდან, რბილი ქსოვილებიდან მიღებული პუნქტატები;

ბ) ანაფხეკები დაწყლულებული და ეროზიული ზედაპირებიდან, გამონადენი სარძევე ჯირკვლების ღვრილებიდან, შარდ-სასქესო გზებიდან, ნაწლავებიდან, ფისტულებიდან;

გ) მასალა, მიღებული ენდოსკოპური კვლევის შედეგად ნაცხების, ანაბეჭდების, ჩამონარეცხი წყლების სახით. აგრეთვე ანაბეჭდები, მიღებული ზონდებიდან, სააბრაზიო კოვზებიდან, საჭიროების შემთხვევაში კი ბიოპტატებიდან და ოპერაციული მასალიდან;

დ) მასალა, მიღებული მასიური პროფილაქტიკური გინეკოლოგიური გასინჯვების დროს.

4. ციტოლოგიური გამოკვლევისათვის მასალა გაგზავნილ უნდა იქნეს იმავე დღეს **14 საათამდე** სრულყოფილად შევსებულ თანმხლებ ფურცელთან ერთად (იხ. დანართი 13).



დანართი 10

დანართი 10

ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევაზე მიმართვის ფორმა

ჯანდაცვის სადირიგებო ფორმა № 15/01

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „—“ —“ 2000წ.

მიმართვა ბიოფსიური, ოპერაციული მასალის (გახაზეთ) ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევაზე

სამკურნალო დაწესებულება— განყოფილება—
ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი—
ასაკი—სქესი—პროფესია—ავადმყოფობის ისტორიის №—
საცხოვრებელი ადგილი— მასალის აღების თარიღი—
მასალის გაგზავნის თარიღი— მასალის ხასიათი და ლოკალიზაცია
(მიეთითოს ორგანო, ქსოვილი, რამდენი ნაჭერი და რა ნაწილიდან არის აღებული)——

მასალის განმეორებით აღების შემთხვევაში მისი პირველად აღების თარიღი და დიაგნოზი სამედიცინო დაწესებულების მითითებით——

კლინიკური მონაცემები (ავადმყოფობის ხანგრძლივობა, ჩატარებული მკურნალობა; ლიმფური კვანძების გამოკვლევის შემთხვევაში – სისხლის ანალიზი; ენდომეტრიუმის გამონაფხეკის და სარძევე ჯირკვლის გამოკვლევის შემთხვევებში ბოლო ნორმალური მენსტრუაციის დაწყებისა და დამთავრების თარიღი, მენსტრუალური ფუნქციის დარღვევის ხასიათი, სისხლდენის დაწყების თარიღი) ——

მიმართვის მეორე გვერდი

მასალის მაკროსკოპული აღწერილობა——

კლინიკური დიაგნოზი ——

მკურნალი ექიმი —— მასალის მიღების თარიღი ——

ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზი (დასკვნა) ——

თარიღი —— კლინიკური პათოლოგი ——



დანართი 12

დანართი 12

ციტოლოგიურ გამოკვლევაზე მიმართვის ფორმა

ჯანდაცვის საადრინესო ფორმა № 23/01
დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური
დაცვის სამინისტროს მიერ „____“ _____ 2000წ.

მიმართვა ციტოლოგიურ გამოკვლევაზე

სამედიცინო დაწესებულება _____ განყოფილება _____

ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი _____

ასაკი—სქესი—პროფესია—საცხოვრებელი ადგილი _____

ავადმყოფობის ისტორიის № _____ კლინიკური დიაგნოზი _____

პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაცია _____

რა გზითაა მასალა მიღებული: პუნქტატი, გამონაფხეკი, ანაბეჭდი, ანაფხეკი, გამონადენი,
ნაცხი, ჩამონარეცხი წყლები, ნახველი (გახაზეთ). ს სვა _____

მასალის განმეორებით აღების შემთხვევაში მისი პირველად აღების თარიღი და
დიაგნოზი სამედიცინო დაწესებულების მითითებით _____

ჩატარებული მკურნალობა _____

„____“ _____ 200—წელი

მკურნალი ექიმი _____

პათოლოგანატომიურ სამსახურის მოვალეობები

დანართი 2

8. ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის ჩატარების ვადაა 5 სამუშაო დღე, გარდა იმ
ქსოვილებისა, რომელთა გამოკვლევისათვის საჭიროა დეკალცინაცია. ასეთ შემთხვევებში
კვლევის ვადა გრძელდება ერთ თვემდე.

7. ბიოფსიური და ოპერაციული მასალის გადათავსებაზე კლინიკური განყოფილებიდან
პათოლოგიურანატომიურ დაწესებულებაში პასუხისმგებელია კლინიკური განყოფილების
(საოპერაციო ბლოკის) გამგე, ხოლო ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზების ჩაბარებაზე –
პათოლოგიურანატომიური დაწესებულების ხელმძღვანელი.



9. ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზის დასმის გადავადება შეიძლება იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია დამატებითი კვლევის ჩატარება სპეციალური მეთოდების გამოყენებით ან დიაგნოზის კონსილიუმის წესით დადგენა, რის შესახებაც პათოლოგიურანატომიური დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეატყობინოს შესაბამისი კლინიკური განყოფილების გამგეს და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელს.

9. ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზის დასმის გადავადება შეიძლება იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია დამატებითი კვლევის ჩატარება სპეციალური მეთოდების გამოყენებით ან დიაგნოზის კონსილიუმის წესით დადგენა, რის შესახებაც პათოლოგიურანატომიური დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეატყობინოს შესაბამისი კლინიკური განყოფილების გამგეს და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელს.

12. ექსპრესბიოფსიის პასუხი უნდა გაიცეს არა უგვიანეს 15-20 წუთისა.

13. ყველა ორგანოს არასპეციფიკური ანთებითი პროცესების, თიაქრის პარკის და არასრული აბორტის დროს საშვილოსნოს დრუს გამონაფხეკის ჰისტოლოგიური პრეპარატები პათოლოგიურანატომიურ დაწესებულებაში ინახება 3 თვიდან ერთ წლამდე, რის შემდეგაც პრეპარატები შეიძლება განადგურდეს. კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების, სიმსივნურ ზრდაზე ეჭვის და სპეციფიკური ანთების არსებობისას ჰისტოლოგიური პრეპარატები ინახება მუდმივად. სიმსივნეების მაკროპრეპარატები ინახება 10%-იან ფორმალინში ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შეიძლება განადგურდეს.

5

დანართი 9

დებულება ციტოლოგიური მასალის გამოკვლევის წესის შესახებ

9. ციტოლოგიური გამოკვლევის ვადაა ერთი სამუშაო დღე. მასიური პროფილაქტიკური გინეკოლოგიური გასინჯვების დროს მიღებული მასალის გამოკვლევის ვადაა 4 სამუშაო დღე. ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვლევის ვადა შეიძლება გაიზარდოს, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელობას.

11. სასწრაფო ციტოლოგიური პასუხი უნდა გაიცეს არა უგვიანეს 10-15 წუთისა.

12. არაავთვისებიან პათოლოგიურ პროცესთა (ავადმყოფობათა) ციტოლოგიური პრეპარატები პათოლოგიურანატომიურ (ციტოლოგიურ) დაწესებულებაში ინახება ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი შეიძლება განადგურდეს. ავთვისებიან პათოლოგიურ პროცესთა (ავადმყოფობათა) ციტოლოგიური პრეპარატები რეკომენდებულია



ინახებოდეს მუდმივად, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, შენახულ უნდა იქნეს მინიმუმ 10 წლის განმავლობაში და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ განადგურდეს.

დანართი 11

ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხის ფორმა

ჯანდაცვის სააღრიცხვო ფორმა № 15/02

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „____“ _____ 2000წ.

ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხი

პათოლოგიურანატომიური დაწესებულება_____

ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა № _____

გამომგზავნი სამედიცინო დაწესებულება_____განყოფილება_____

ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი_____

ასაკი_____სქესი_____ავადმყოფობის ისტორიის №_____

მასალა (ბიოფსიური, ოპერაციული) აღებულია (ორგანოს დასახელება)_____

ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზი (დასკვნა)_____

„____“ _____ 200– წელი კლინიკური პათოლოგი_____

6

დანართი 13

დანართი 13

ციტოლოგიური გამოკვლევის პასუხის ფორმა

ჯანდაცვის სააღრიცხვო ფორმა № 23/02

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს მიერ „____“ _____ 2000წ.



ციტოლოგიური გამოკვლევის პასუხი

პათოლოგიურანატომიური (ციტოლოგიური) დაწესებულება_____

ციტოლოგიური გამოკვლევა №_____

გამომგზავნი სამედიცინო დაწესებულება_____განყოფილება_____

ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი_____

ასაკი_____სქესი_____ავადმყოფობის ისტორიის N_____

რომელი ორგანოდანაა მასალა აღებული_____

ციტოლოგიური დიაგნოზი (დასკვნა)_____

„____“ _____” 200-წელი

ექიმი ციტოლოგი _____



ბიოფსიური, ოპერაციული მასალის რეგისტრაციის ჟურნალი

№	სამედიცინო ბარათის (ისტორიის) ნომერი	ავადმყოფის გვარი, სახელი,	განყოფილება	გამოსაკვლევი მასალის სახე (ბიოფსიური, ოპერაციული)	რომელი ორგანოდანაა მასალა აღებული	მასალის აღების თარიღი	კლინიკური დიაგნოზი	ოპერატორი	მასალის გაგზავნაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

დანართი 15

ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმა

ჯანდაცვის სააღრიცხვო ფორმა № 15/04
დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს მიერ „—“ „—“ 2000წ.

8

ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევების რეგისტრაციის ჟურნალი

სახელი, მამის სახელი	სამედიცინო დაწესებულება	განყოფილება	ასაკი	სქესი	პროფესია	გამოსაკვლევი მასალის სახე (ბიოფსიური, ოპერაციული)	რომელი ორგანოდანაა მასალა აღებული	მასალის მიღების თარიღი	კლინიკური დიაგნოზი	ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზი	გამოკვლევა აწარმოა	დიაგნოზის დადგენის თარიღი	შენიშვნა
	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

პასუხისმგებლობები

არსებული წესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა ყველა კლინიკურ დეპარტამენტში და მორფოლოგიური კვლევის განყოფილებაში მომუშავე მედპერსონალისთვის

ლიტერატურა:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის



ბრძანება №242/ნ, 2000 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი - საქართველოში
პათოლოგიურანატომიური სამსახურის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

ძირითადი მოქმედებები:

- რეგულარულად შეაფასეთ ამ SOP-ის ეფექტურობა.
- საჭიროებისამებრ იზრუნეთ გაუმჯობესებაზე.

